მინდობილობა

ქ. თბილისი **12.10.2022წ.**

მე, შპს „ლიდო“-ს (ს/კ 205264998) დირექტორი გიორგი გოშხოთელიანი (პ/ნ 01026007472) წინამდებარე მინდობილობით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ (ს/კ 203826002) ვანიჭებ უფლებამოსილებას, კომპანიის სახელით კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 01.17.07.014.016) განათავსოს სატუმბო სადგური, პროექტის მიღება წარდგენასთან დაკავშირდებით აწარმოოს მოლაპარაკებები, კომპანიის სახელით შეიტანოს განცხადებები, მათ შორის ელექტრონული ფორმით, წარადგინოს/მიიღოს ინფორმაცია/დოკუმენტები, წარადგინოს პროექტი, საჭიროების შემთხვაში მოახდინოს პროექტის კორექტირება, დაესწროს საქმის განხილვას, მიიღოს ნებართვები, რისთვისაც იყოს წარმომადგენელი მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ დაწესებულებაში, არტიტექტურის და ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც წინამდებარე მინდიბილობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლაად იქნება საჭირო.

მინდობილობა მოქმედებს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

შპს „ლიდო“-ს დირექტორი

გიორგი გოშხოთელიანი

გიორგი გოშხოთელიანი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N221392986
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.10.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	შორენა ხაინდრავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2725342
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	32884998412022

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაორი წლის თორმეტ ოქტომბერს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18**, მომმართა **გიორგი გოშხოთელიანმა**, რომელმაც წარმოადგინა **12.10.2022 წლის მინდობილობა** და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გიორგი გოშხოთელიანმა** (დაბ. 03.01.1984წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ს. ცინცაძის ქ. №83 ბ.67, პირადი №01026007472) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, ასევე განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის სამართლებრივ შედეგებზე. ამის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 3 ეგზემპლარზე შესრულებული 3 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 18 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.3-ს თანახმად), დღგ – 3.24 ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (ამავე დადგენილების მ.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 26.24 ლარი.

ნოტარიუსი ---------- /შორენა ხაინდრავა/



სს "თიბისი ბანკი", ცენტრალური ფილიალი
JSC "TBC Bank", Central Branch

72/102-01
13/10/2022

სსიპ ქალაქ თბილისის მერიის
არქიტექტურის სამსახურის

თანხმობის წერილი

გაცნობებთ, რომ შპს „ლიდოს“ (ს/ნ 205264998) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , II მ/რ , კორპუსი N1-ის მიმდებარედ; ს/კ 01.17.07.014.016; დატვირთულია იპოთეკის უფლებით სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ (იპოთეკის ხელშეკრულება N1231232965011, დამოწმების თარიღი 02/08/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო).

გაცნობებთ, რომ სს "თიბისი ბანკი", როგორც იპოთეკარი, თანახმაა, მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.07.014.016 განთავსდეს სატუმბო სადგური.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, ბანკის მიერ წინამდებარე წერილით გაცხადებული თანხმობა მოქმედია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული ქმედებების განხორციელების შედეგად:

- არ მოხდება იპოთეკის საგნის იმგვარი გარდაქმნა / ცვლილება, რაც შეამცირებს მის ღირებულებას და/ან შელახავს ბანკის, როგორც იპოთეკარის, ინტერესებს;
- არ მოხდება იპოთეკის საგნის შემცირება;
- იპოთეკის საგანზე არ გავრცელდება რაიმე სახის შეზღუდვა (მათ შორის სხვა ნებისმიერი პირის მოთხოვნა/უფლება);
- ბანკის იპოთეკის უფლება სრულად გავრცელდება იპოთეკის საგნის გარდაქმნის / ცვლილების შედეგად მიღებულ უძრავ ნივთ(ებ)ზე.

სს „თიბისი ბანკის“ ცენტრალური ფილიალის დირექტორი

ქეთევან ჩხიკვიშვილი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
0179 თბილისი, საქართველო

11 Chavchavadze Ave.
0179 Tbilisi, Georgia

ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74

www.tbcbank.ge